

შპს „მადოჰავაგი +“

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „მადოჰავაგი +“							
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება							
					ერთეული: 1 GEL		
				საანგარიშგებო პერიოდი	შენიშვნა		
				31.12.2018	31.12.2017	01.01.2017	
აქტივები							
მიმდინარე აქტივები, სულ:				11764788	8067284	4811956	
ფულადი სახსრები				7890242	4940917	2205353	3.1
სავაჭრო მოთხოვნები				2602756	1865900	1436104	3.2
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები				72998	4527	54548	3.3
მარაგები				22219	14312	23987	3.4
სხვა მიმდინარე აქტივები				1176573	1241628	1091964	3.5
გრძელვადიანი აქტივები, სულ:				2062145	1742674	1502140	
ძირითადი საშუალებები				2061956	1742419	1501808	3.6
არამატერიალური აქტივები				189	255	332	3.7
სულ აქტივები:				13826933	9809958	6314096	
ვალდებულებები და კაპიტალი							
ვალდებულებები, სულ:				867325	286697	212168	
სავაჭრო ვალდებულებები				359456	42362	97307	3.8
საგადასახადო ვალდებულებები				103197	46737	40959	
სხვა ვალდებულებები				404672	197598	73902	3.9
სულ კაპიტალი:				12959608	9523261	6101928	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი				500	500	500	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი				12959108	9522761	6101428	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:				13826933	9809958	6314096	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.							
დირექტორი _____				ვაჟა სიხარულიძე			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.							

შპს „მადოჰავაგი +“			
მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება			
			ერთეული: 1 GEL
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2018	2017	
ამონაგები	15639423	15182172	
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	-9802951	-9367385	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	5836472	5814787	3.10
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-731481	-566150	
სულ საოპერაციო ხარჯები:	-731481	-566150	3.11
ფინანსური შემოსავლები	105485	33000	
დადებითი საკურსო სხვაობები	180160	23881	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები		1116	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	285645	57997	3.12
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	-288		
ფინანსური დანახარჯები	-5080		
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-72213	-793	
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	-5	-490	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-77586	-1283	3.13
მოგება დაბეგვრამდე:	5313050	5305351	
მოგების გადასახადის ხარჯი	-35019	-42334	
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი:	5278031	5263017	3.14
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:			
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი:	5278031	5263017	
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	9523261	6101928	
ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):	-1841684	-1841684	3.15
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	5278031	5263017	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	12959608	9523261	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.			
დირექტორი _____	ვაჟა სიხარულიძე		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს „მადოჰავაგი +“			
ფულადი ნაკადების ანგარიშგება			
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)			
			ერთეული: 1 GEL
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2018	2017	
ფულადი ნაკადები ს ა ო პ ე რ ა ც ი ო საქმიანობიდან:			
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	14967622	14749430	
ზარალის დასაფარავად (ზიანის ასანაზღაურებლად) მიღებული თანხები		3277	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-1263741	-1424979	
გაცემული შრომის ანაზღაურება	-6288175	-6089429	
სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება	-162180	-24625	
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	-1663656	-1892136	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-1549	-7009	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	5588321	5314529	
ფულადი ნაკადები ს ა ი ნ ვ ე ს ტ ი ც ი ო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-1032158	-885631	
მიღებული პროცენტები	109724	33000	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-922434	-852631	
ფულადი ნაკადები ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო საქმიანობიდან:			
სესხების აღება	2100000		
სესხების დაფარვა	-2100000		
გადახდილი პროცენტები	-5079		
გადახდილი დივიდენდები	-1749600	-1749600	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	-1754679	-1749600	
ვ ა ლ უ ტ ი ს კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	38117	23266	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	2949325	2735564	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	4940917	2205353	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	7890242	4940917	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.			
დირექტორი _____	ვაჟა სიხარულიძე		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

2018 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „მადოჰავაგი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2006 წლის 25 ივლისს ქ. რუსთავის საგადასახადო ინსპექციის მიერ, მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 216427917, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. რუსთავი, დ. გურამიშვილის ქ. #7/25. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად 2006 წლის 1 სექტემბერს.

1.2. კომპანიის 55%-იანი წილის მფლობელია მიხეილ სიხარულიძე (პ/ნ 01024001627), ხოლო 45% წილის მფლობელი - სოფიო სიხარულიძე (პ/ნ 01024039374).

1.3. კომპანიის დირექტორია ვაჟა სიხარულიძე (პ/ნ 01024001622).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ავტოტრანსპორტითა და პერსონალით უზრუნველყოფა საერთაშორისო პროექტების განმახორციელებელი იურიდიული პირებისათვის.

1.5. კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და

აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება გაწეული მომსახურების მიწოდებიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების

საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში

საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება შემცირებადი ნაშთის მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა-დანადგარები - 20%;

ოფისის აღჭურვილობა - 20%;

კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები - 25%;

ელექტრონული მოწყობილობები - 20%;

ავეჯი - 20%;

მსუბუქი ავტომანქანები - 20%;

სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებები - 20%;

სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები - 20%;

100-დან 1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები - 50%;

სპეცტანსაცმელი - 50%.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის

წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
ლარი საბანკო ანგარიშებზე	5944997	3903838	1675790
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	1945245	1037079	529563
სულ:	7890242	4940917	2205353

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების ძირითადი ნაწილი (99%) არ იბეგრება დღგ-ით, რადგან ამ მომსახურების მიმღები პირები საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით არიან დღგ-ისაგან განთავისუფლებული საერთაშორისო კომპანიები.

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები ძირითადი კონტრაგენტების მიმართ (0% დღგ-ით)	2598536	1865600	1428814
სხვა სავაჭრო მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან	4220	300	3795
სულ:	2602756	1865900	1432609

2018 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალეები არ აქვს.

3.3. გადახდილი ავანსები და წინასწარ გაწეული ხარჯები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
წინასწარ გაწეული (მომავალი წლის) ხარჯები	60198	1971	16357
მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	12800	2556	38191
სულ:	72998	4527	54548

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
საწვავ-საცხები მასალები	21162	3876.52	13176
ავტომანქანების სათადარიგო ნაწილები	1057	10435.24	10811
სულ:	22219	14312	23987

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
წინსწრებით გადახდილი გადასახადები	1161315	1229550	1081174
საწვავის მოთხოვნა ტალონებით	5312	4507	9030
მისაღები პროცენტები სადეპოზიტო სერტიფიკატებიდან	2320	0	0
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7626	7571	1760
სულ:	1176573	1241628	1091964

3.6. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	2017 წელი ზრდა ან შემცირება	2017 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
მანქანა-დანადგარები	695	0	417	1112		417	1529
ოფისის აღჭურვილობა	970		505	1476		605	2081
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	6704	6321	1546	1929	1394	650	1184
ელექტრონული მოწყობილობები	37381	10088	19205	46498	12235	17220	51483
ავეჯი	483	-208	466	1156		800	1956
მსუბუქი ავტომობილები	1813002	1010925	587974	1390051	708441	524131	1205740
სხვა ავტოტრანსპორტი	197222		90099	287320	149904	78845	216262
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	381	0	286	667		454	1121
100- დან 1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები	5033	4722	5486	5798	6807	4683	3674
სპეცტანსაცმელი	85	102	6429	6412	7966	18331	16778
სულ:	2061956	1031950	712413	1742419	886747	646136	1501808

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 3124974 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 2426913 ლარი.

3.7. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ამორტიზაცია	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	2017 წელი ზრდა ან შემცირება	2017 წელი დარიცხული ამორტიზაცია	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
საბუღალტრო პროგრამები	614		85	699		85	783
სულ:	614	0	85	699	0	85	783

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 755 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 690 ლარი.

3.8. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
დავალიანება სადაზღვევო კომპანიების წინაშე	32646	478	0
დავალიანება სხვა რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ (20 კონტრაგენტი)	326810	41884	97307
სულ:	359456	42362	97307

3.9. სხვა ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
დავალიანება ფვ წინაშე მომსახურების გაწევიდან	393218	186144	63456
ვალდებულებები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	0	1454	445
შეცდომით ჩარიცხული თანხა	10000	10000	10000
სულ:	403218	197598	73901

3.10. ნეტო ამონაგები და გაწეული მომსახურების თვითღირებულება

2017-2018 წლებში, კომპანიის ამონაგები თითქმის მთლიანად შედგება მისი ძირითადი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისაგან:

	2018 წელი	2017 წელი
ავტოტრანსპორტითა და პერსონალით უზრუნველყოფა საერთაშორისო პროექტების განმახორციელებელი იურიდიული პირებისათვის	15620271	15179121
საიჯარო მომსახურება	3051	3051
სხვა მომსახურება	16101	0
სულ:	15639423	15182172

მომსახურების გაწევის თვითღირებულება შედგება შემდეგი პირდაპირო დანიშნულების ხარჯებისაგან:

	2018 წელი	2017 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი (დაზღვევა)	8039850	7984641
ცვეთა და ამორტიზაცია	712478	646214
იჯარა	289155	153360
საწვავის ხარჯები	320592	208169
ავტოტრანსპორტის საექსპლუატაციო ხარჯები	28584	70629
ტრენინგის ხარჯები	90076	179884
სამივლინებო ხარჯები	162180	23900
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული სხვა პირდაპირი ხარჯები	160036	100588
სულ:	9802951	9367385

3.11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2018 წელი	2017 წელი
იჯარის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული დანიშნულების)	175084	374384
კომუნალური ხარჯები	7773	6500
ქონების დაზღვევის ხარჯები	96609	16562
საკომუნიკაციო ხარჯები	12242	136461
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	439773	32242
სულ:	731481	566150

3.12. არასაოპერაციო შემოსავლები:

	2018 წელი	2017 წელი
ფინანსური შემოსავლები (საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი)	105485	33000
დადებითი საკურსო სხვაობები	180160	23881
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	0	1116
სულ:	285645	57997

3.13. არასაოპერაციო ხარჯები:

	2018 წელი	2017 წელი
საპროცენტო დანახარჯები	5080	0
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	288	0
უარყოფითი საკურსო სხვაობები	72213	793
ჯარიმები და საურავები	0	484
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	5	6
სულ:	77586	1283

3.14. საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი):

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე.

2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები).

კომპანიის 2017 და 2018 წლების ფინანსური შედეგები შემცირებულია იმ მოგების გადასახადის ხარჯით, რომელიც წარმოიშვა წინა წლების მოგებიდან დივიდენდების გაცემის შედეგად (დაბეგვრის „ესტონური მოდელის“ შესაბამისად) 2018 წელს. როგორც 2017, ასევე 2018 წელს, დარიცხული დივიდენდები სრულად იქნა გაცემული დივიდენდების გამოცხადების წლის ბოლომდე.

3.15. დაგროვილი განაწილებელი მოგება

2017-2018 წლების მოგებიდან დივიდენდებზე განაწილება ჯერ არ მომხდარა. კომპანიის მიერ 2017-2018 წლებში განაწილებულია 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგების ნაწილი.

3.16. სასამართლო დავები:

კომპანიას 2017-2018 წლების განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2018 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან (დამფუძნებლები, დირექტორი) ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

3.19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს.

შპს „მადოჰავაგი +“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი			შენიშვნა
	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017	
აქტივები				
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	<i>11764788</i>	<i>8067284</i>	<i>4811956</i>	
ფულადი სახსრები	7890242	4940917	2205353	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	2602756	1865900	1436104	3.2
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	72998	4527	54548	3.3
მარაგები	22219	14312	23987	3.4
სხვა მიმდინარე აქტივები	1176573	1241628	1091964	3.5
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	<i>2062145</i>	<i>1742674</i>	<i>1502140</i>	
ძირითადი საშუალებები	2061956	1742419	1501808	3.6
არამატერიალური აქტივები	189	255	332	3.7
სულ აქტივები:	13826933	9809958	6314096	
ვალდებულებები და კაპიტალი				
<i>ვალდებულებები, სულ:</i>	<i>867325</i>	<i>286697</i>	<i>212168</i>	
სავაჭრო ვალდებულებები	359456	42362	97307	3.8
საგადასახადო ვალდებულებები	103197	46737	40959	
სხვა ვალდებულებები	404672	197598	73902	3.9
<i>სულ კაპიტალი:</i>	<i>12959608</i>	<i>9523261</i>	<i>6101928</i>	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	500	500	500	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	12959108	9522761	6101428	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	13826933	9809958	6314096	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი

სიხარულიძე

გაფა სიხარულიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს „მადოჰავაგი +“

მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2018	2017	
ამონაგები	15639423	15182172	
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	-9802951	-9367385	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	5836472	5814787	3.10
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-731481	-566150	
სულ საოპერაციო ხარჯები:	-731481	-566150	3.11
ფინანსური შემოსავლები	105485	33000	
დადებითი საკურსო სხვაობები	180160	23881	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები		1116	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	285645	57997	3.12
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	-288		
ფინანსური დანახარჯები	-5080		
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-72213	-793	
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	-5	-490	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-77586	-1283	3.13
მოგება დაბეგვრამდე:	5313050	5305351	
მოგების გადასახადის ხარჯი	-35019	-42334	
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი:	5278031	5263017	3.14
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:			
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი:	5278031	5263017	
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	9523261	6101928	
ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):	-1841684	-1841684	3.15
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	5278031	5263017	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	12959608	9523261	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი ბიხაი 7017 ვაჟა სიხარულიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს „მადოჰავაგი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	14967622	14749430
ზარალის დასაფარავად (ზიანის ასანაზღაურებლად) მიღებული თანხები		3277
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-1263741	-1424979
გაცემული შრომის ანაზღაურება	-6288175	-6089429
სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება	-162180	-24625
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	-1663656	-1892136
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-1549	-7009
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	5588321	5314529
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-1032158	-885631
მიღებული პროცენტები	109724	33000
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-922434	-852631
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების აღება	2100000	
სესხების დაფარვა	-2100000	
გადახდილი პროცენტები	-5079	
გადახდილი დივიდენდები	-1749600	-1749600
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	-1754679	-1749600
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	38117	23266
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	2949325	2735564
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	4940917	2205353
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	7890242	4940917

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი _____

სიხარულიძე

ვაჟა სიხარულიძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

